



# შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია აკადემიური  
საბჭოს გადაწყვეტილებით-----

## ტურისტული კლუბის დებულება

### მუხლი 1. ტურისტული კლუბის

1. ტურისტული კლუბი (ტექსტში შემდგომ - კლუბი) არის შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) დამხმარე სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის მიზნებიდან გამომდინარე ტურიზმის განვითარებისთვის ხელშეწყობას.

2. კლუბი თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

### მუხლი 2. კლუბის სტრუქტურა

1. კლუბი შედგება კლუბის ხელმძღვანელისა და მოსამსახურეებისაგან.

2. კლუბის საქმიანობას წარმართავს კლუბის ხელმძღვანელი, რომლის უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ დებულებით. ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის დავალებით, კლუბის ხელმძღვანელის უფლებამოსილებებს ახორციელებს ერთ-ერთი მოსამსახურე.

3. კლუბის მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლების წესები განისაზღვრება ამ დებულებით და საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად.

### მუხლი 3. კლუბის ფუნქციები

კლუბი დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებულ სასასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობას;

ბ) ტურიზმის პოპულარიზაციას;

გ) ტურიზმის ღონისძიებებში სტუდენტების ჩაბმას მათი უნარების და შესაზღვებლობების გათვალისწინებით;

- დ) რექტორისათვის წინადადებების წარდგენას ტურიზმის ღონისძიებების საკითხებზე;
- ე) მოქმედი კანონმდებლობით და სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული კლუბის სხვა ფუნქციების განხორციელებას.

#### **მუხლი 4. კლუბის მართვა**

1. კლუბს წარმართავს ხელმძღვანელი.
2. კლუბის ხელმძღვანელი:
  - ა) წარმართავს კლუბის საქმიანობას და პასუხისმგებელია კლუბზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;
  - ბ) ანაწილებს ფუნქციებს კლუბის მოსამსახურეთა შორის;
  - გ) სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს წინადადებებს კლუბის საკადრო საკითხებთან დაკავშირებით; მოსამსახურეთა წახალისების და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, მოსამსახურეთა შვებულებების გამოყენების, მოსამსახურეთა სამსახურებრივი მივლინებების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების შესახებ;
  - დ) განსაზღვრავს კლუბის საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის წესს, ფორმებსა და მეთოდებს;
  - ე) სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს კლუბის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;
  - ვ) სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს კლუბის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ;
  - ზ) ანგარიშვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.
3. კლუბის საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.
4. კლუბის ხელმძღვანელის არყოფნისა ან სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს გადაწყვეტილებით მის მოვალეობას ასრულებს კლუბის ერთ-ერთი მოსამსახურე.

#### **მუხლი 5. კლუბის პერსონალი**

1. კლუბის პერსონალი შედგება მოხელეებისაგან, რომელთა რაოდენობა განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის საშტატო ნუსხით.
2. კლუბის მოსამსახურეებს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.
3. კლუბის მოსამსახურეები:
  - ა) კლუბის ხელმძღვანელს წარუდგენენ თავიანთ საქმიანობის შესახებ ანგარიშს;
  - ბ) საკუთარი მოვალეობების შესრულებისას ხელს აწერენ მომზადებულ დოკუმენტაციას, იძლევიან სათანადო დასკვნებს, შეისწავლიან და წარმოადგენენ წინადადებებს, პროექტებს და სხვა შესაბამის დოკუმენტაციას მათზე დაკისრებული მოვალეობებისა და ცალკეული დავალებების ფარგლებში.
  - გ) ასრულებენ ამ დებულებით, შინაგანაწესით, სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოების და კლუბის ხელმძღვანელის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ მოვალეობებსა და ცალკეულ დავალებებს.

## **მუხლი 6. კლუბის ქონება, ფინანსები და საქმიანობის კონტროლი**

1. კლუბის მთელი ქონება წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებას.
2. სამსახურისათვის გადაცემული ქონების საკითხები რეგულირდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3. კლუბის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი.